

## სხვა საქართველო

ეს უკვე მერამდენედ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთი და იგივე დრამა თამაშდება...

ქვეყნის ბედი პიროვნულს ჰგავს. პიროვნების ცხოვრებაშიც იჩენს ხოლმე თავს საბედისწერო, კარმული მიზეზით გამოწვეული პრობლემა, რომელიც ჯიუტად მეორდება და თუ ვერ გადაჭერი – თავ-ბედს იწყევლი!

მერამდენე შემთხვევაა, ბედისწერა ქართველ ხალხს ერთი და იგივე ამოცანის გადაჭრას გვაკადლებულებს: ან ავაშენებთ სახელმწიფოს – ან ჩვენ თვითონ გადავშენდებით!!!

სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლის ბოლო რაუნდი 2003 წლის 23 ნოემბერს დაიწყო და თანდათან უახლოვდება კულმინაციას. ქართული სახელმწიფო 800-წლიანი წყვეტილის მერე იბადება და ამ დიდი ისტორიული ნაცვალგების დღის მოახლოვებას არ შეიძლებოდა, ქართული სახელმწიფოს ანტაგონისტები არ აეფორიაქებინა...

ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოხდომამ ხელისუფლებას და ოპოზიციას შორის ძალაუფლებისთვის მოულოდნელად გამწვავებულ ბრძოლაში იჩინა თავი; ძალაუფლებისთვის ბრძოლის დემოკრატიული ფასადის მიღმა – ქართული სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის პრობლემა წამოიძარტა. რისი მოწმეებიც დღეს ვართ, არ არის სახელისუფლო როტაციის ჩვეულებრივი პროცესი; ახალწარმოქმნილ სახელმწიფოს ჯერაც არ გადაულახავს სრულფასოვნების უღელტეხილი.

თავის დროზე, დიდი და ძლიერი ქართული სახელმწიფო არა გარედან – არამედ შინაანტაგონისტების მიერ განადგურდა. რამ გამოიწვია ეს? რატომ ვეღარ მოხერხდა (არაერთი თავგანწირული ცდის მიუხედავად) სათავადოების მიერ ჩიხში მომწყვდებული და ღამის სამეფო სახლის დონემდე დაკნინებული სახელმწიფოს გამოცოცხლება? რა იყო და რა არის ქართული სახელმწიფოს ის საბედისწერო ანტიპოდი, ბოროტი დედინაცვალივით რომ დასტრიალებს თავს საქართველოს? ეკონომიკურ და ინსტიტუციურ მიზეზებს აქ ვერ გამოვუდგებით, ამჟამად უფრო სიდრმისეულ, სულიერ და კულტურულ განზომილებაზე უნდა გადავიტანოთ ყურადღება.

ზოგადად, პოლიტიკური სოციოლოგიის ენაზე ჩვენს „ამომგდებ-ამომბზარავ“ განწყობას **გემაინშაფტ** კულტურა ეწოდება, - ქართულ ისტორიულ წარსულში მან ძალაუფლების კლანურ-მემამულური სისტემა და მისი შესატყვისი საზოგადოებრივი მორალი ადაზვევა.

გემაინშაფტ კულტურა უპირატესად გვაროვნული თემის წიაღში წარმოშობილ და სოფლური ყოფისთვის ჩვეულ საურთიერთო სტანდარტებს მოიცავს. ის სისხლით მონათესავე ადამიანებისგან ღამბავს სოციალურ ქსოვილს. მნიშვნელობა ამ თუ იმ თემის მკვიდრობას, გვარიშვილობა-წარმომავლობას ენიჭება და არა - პირად უნარებ-ჩვევებს. თემისადმი (ქალაქური დასახლების შემთხვევაში - უბნისადმი) კუთვნილება, კლანების თუ საძმოების ვალდებულებები, - საკრალურის რანგშია აყვანილი. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მამა-პაპური ადათ-წესები, კლიენტელისტური და მამაშვილური მიდგომებია გაბატონებული.

პირიქით, თანამედროვე ურბანული საზოგადოების კულტურა ე.წ. „გეზელშაფტ“ სულისკვეთების ნაყოფია. ადათის ადგილი აქ რაციონალურ/გონივრულ მიდგომებს უჭირავს. პიროვნულ ურთიერთობებს (რანათესავე კავშირებსაც არ უნდა მოიცავდის ის) სამსახურეობრივი ვალდებულებებით წარმოქმნილი ურთიერთგაუცხოვების ელ-ფერი დაჰკრავს; სანათესავეს, სამეზობლოს, სამძაკაცოს სულისკვეთება აქ ვეღარ ზეობს.

მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა, ქართულ ყოფაში სწორედ გემინშაფტ კულტურას მიენიჭა უპირატესი უფლება. სადაც არ შეიხედავ: სახელმწიფო დაწესებულებაში, ბიზნესორგანიზაციაში, თუ პოლიტიკურ პარტიაში - ყველგან სამეგობრო-სანათესავე და პატრონ-კლიენტელისტური ქსელებია გაბმული. სწორედ ეს მამაპაპური ქცევის პატერნი ქმის სახელმწიფოებრივი მიდგომების ანტიპოდს, ეს პირველყოფილი, გვარ-ტომობრივი მენტალიტეტი პოლიტიკის და სახელმწიფოს უწინარესი, და ამიტომაც, ანარქისტულია (ბერძნული ტერმინი „ანარქია“ ნიშნავს: „არა, ხელისუფლებას“).

ჩვენი სახელმწიფოებრიობის განვითარების კულმინაციურ მომენტში გვაროვნულმა ფორმაციამ მოულოდნელი რევანში აიღო. სწორედ დიდგვაროვნების უზომოდ გაძლიერების შედეგად მოხდა, რომ მოხელეთა მსახურებაზე დაყრდნობილ სახელმწიფო სისტემას მემამულური კონფედერაცია ჩაენაცვლა. საზოგადოებრივი ურთიერთობა და, რაც მთავარია, ფსიქიკა ბატონყმობის ტლაპოში ჩაიხეკა. შექმნილი ვითარება დიდხანს ადარ შეიცვალა და შედეგად, თვით ურბანულ დასახლებებშიც გვარტომობრივმა, გემინშაფტ სულისკვეთებამ იბარტყა. „საკაშვილო, იცოდე, ლევანი ვარ - გაჩეჩილაძე!“ - უბნელი ბიჭების ენაზე შეუთვალა ხალხმრავალი მიტინგით გულმოცემულმა ოპოზიციონერმა ქვეყნის პრეზიდენტს და გემინშაფტ ლექსიკის საჯარო სივრცეში შემოტანას არ დარიდა; მეტიც, მისი აზრით, ქართულ საზოგადოებას სწორედ ამ ენაზე უნდა ელაპარაკო. „ჯივრებო!!!“ - შეუძახა მან შეკრებილ საზოგადოებას იმაში დაიმედებულმა, რომ გემინშაფტ გავების დუნდგოს მიმართავდა... არც ის არის შემთხვევითი, გაერთიანებულმა ოპოზიციამ რომ საპრეზიდენტო კანდიდატად სწორედ ის, „თბილისელი ბიჭი“ ამოირჩია, - ფსონი ანტისახელმწიფოებრივ, გემინშაფტ განწყობილებებზე დაიდო. ოპოზიციის რუხი კარდინალის, არკადი პატარკაციშვილის დაპირებაც: პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, „შეხილების“ პროგრამას ავამოქმედებ და კომუნალურ თუ სხვა სახის გადასახადებს ხალხს ჩემი ჯიბიდან დაუფარავო, - ამ მიდგომას ეთანადება. მისი ეს საქციელი სახელმწიფოებრივი ქცევის გამოვლენად დასტურ ვერ ჩაითვლება, მაგრამ მამობრივი მზრუნველობის გულისამაჩუყებელ ნიმუშად კი ნამდვილად გამოდგება. რუს ოლიგარქს არც ქვეყნის მთავარი კონსერვატორი, ზვიად ძიძიგური ჩამორჩებოდა, როცა სასურველს რეალობად აცხადებდა: რა თქმა უნდა, გავიმარჯვებთ და მამაპაპურ სუფრასაც გავშლით რუსთაველის გაყოლებაზეო.

საბედნიეროდ, ამ ანარქისტულ გოგლიმოგლს ორგანიზაციული წყობა და რიგი არ გააჩნია. ძირითადად პარლამენტარებისგან და პატივყარილი, გადაყენებული მინისტრებისაგან შეკოწიწებულ ამხანაგობას მხოლოდ არსებული ხელისუფლების სიძულვილი კრავს და ჰკლავს, - იმ ხელისუფლების, რომელმაც სულ რაღაც ოთხიოდ წელიწადში ქვეყანა ლაფიდან ამოათრია და სახელმწიფოს დაამსგავსა. ამის გამო დედა-რუსეთის მმართველ წრეებში ბევრს ნერვიულობენ. მათ ჯერ კიდევ საკმარისი ბერკეტები აქვთ საიმიხოდ, რომ ამ ხელისუფლებაზე დაბოღმილ, თუ სულაც რუსული სამსახურების მიერ გადაბირებულ თანამზრახველებს კარიერისტული ცდუნებები აუღერდონ. ინტერესთა სიჭრელის მიუხედავად ყველა ეს შიდა და გარე ანტაგონისტი ერთი მიმართულებით დაიძაგრა და ქართული სახელმწიფო მოწყობის ქვაკუთხედს - პრეზიდენტის ინსტიტუტს და პირადად მიხეილ სააკაშვილს შეუტია. ღმერთმა

ნუ ქნას თორემ, მისი მოცილებების შემთხვევაში, თეთრყელსახვევიანი ძმობილები გავლენის და ქონების გადანაწილების მიზნით დაერევიან ერთმანეთს და საქართველოც გაღამაზდება, „საქართველო გაბრწყინდება - გჯეროდეთ!“ - მრავალათასიან მიტინგს გაენდო ბიბლიური ცრუწინასწარმეტყველი და ოლიგარქი.

ყოველივე ზემოთქმული მაინც არ ნიშნავს, რომ ნოემბრის ცხელი დღეების მერე ერთ მხარეს სულ გემინშაფტ მენტალობის ხალხი დაირაზმა, ხოლო მეორე მხარეს - გეზელშაფტ ორიენტაციის თავგადაკლული აღმსარებლები შეგროვდნენ. არც ხელისუფლების ყველა წევრი/მომხრეა გეზელშაფტ ორიენტაციის მქონე და არც ყველა ოპოზიციონერი - „ფეესბეს“ მიერ გადაბირებული რენეგატი. რა დასამალია და, ხელისუფლებაშიც არიან „ჯიგაროსნები“, მათი არაერთი ქმედებაა ანტისახელმწიფოებრივი მიდგომის ნიმუში და ოპოზიციაშიც უნდა ვიგულოთ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე პირები. მეტის თქმაც შეიძლება, ყველა ჩვენთაგანში ზის ორივე მათგანი - მოქალაქეც და მამულიშვილიც, - ხან ერთის ნებას ვემორჩილებით, ხანაც - მეორის. მაგრამ პატარკაციშვილის პატრონაჟის ქვეშ დარაზმული „ოპოზიციური დიდკაცობა“ საერთო ჯამში, მაინც ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ პროექტშია შეგნებულად თუ შეუგნებლად (ვინ როგორ) ჩათრეული. მათ მიერ ატეხილმა დავიდარაბამ გვარიანად შეატორტმანა ქართული სახელმწიფოს (სწორედ სახელმწიფოს და არა ხელისუფლების) ანაგისი. ხალხის უკმაყოფილება დასტურ დიდი იყო, მაგრამ ანტისახელისუფლო მიტინგები ხალხს არ დაუწყია, ხალხი არჩევნებს ანიჭებს უპირატესობას, ოპოზიციამ კი მოვლენების ფორსირება გადაწყვიტა და პრეზიდენტის გადადგომის ულტიმატუმი წამოაყენა. საკითხავია, რა მიზნით? არჩევნები ხომ არც ერთ შემთხვევაში შორს არ იყო? სინამდვილეში, ოპოზიციას არჩევნები არას აძლევს, ის ძალაუფლებას მხოლოდ რევოლუციური აურხაურის პირობებში თუ მოიხელთებს.

ეს რომ ასეა და არა სხვაგვარად, ამას, ყველაზე მკაფიოდ, ის გაანჩხლებული რიტორიკა მოწმობს, რასაც ასე წარბშეუხრელად მიმართავენ ოპოზიციის ავი ანგელოზები. ვინ იცის, რა ვითარებაში შეთვისებული, მაგნებლური პოლიტექნოლოგიის მომარჯვებით, ისინი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის უადრესად სახიფათო ეპიდემიას, *სიძულვილს ავრცელებენ*. აქაოდა, ხალხის გაჭირვებამ აგვაპილპილაო, ტელეეკრანებიდან აძაგებენ, ცოცხლად მარხავენ ხელისუფლებას და ხალხის გულის მოგებას ამ ხრიკით ცდილობენ, - გაანჩხლება მათი უნივერსალური ინსტრუმენტი. თუ ხელისუფლების ეგზალტირებულმა, გაკაპასებულმა კრიტიკამ ხალხი აიყოლია და გადარია, მაშინ უმართავი საზოგადოებრივი პროცესები დაიძვრება. ხალხის გაცოფების ტექნოლოგია საკმაოდ მარტივია: ჯერ მედიასაშუალებებით გააღვივებ არსებული ხელისუფლებისადმი სიძულვილს, ხალხს წინასწარ შეამზადებ; მერე თავყრილობას მოაწყობ და საქმეში მიტინგის ფსიქოლოგიას შეუშვებ: მომიტინგე თავის გულს და გონებას ორატორს უთმობს, თვითონ კი მხოლოდ ამყოლია. მიტინგზე მას *სიძულვილის მუხტი გადაეცემა*. სიძულვილს კი ყველაფრის დანგრევა შეუძლია, ის მარტო არსებულ ხელისუფლებას კი არ წაღეკავს, არამედ ნებისმიერ შემდგომ ხელისუფლებასაც, *რადიკალური კრიტიკით ძირი არა არსებულ ხელიუფლებას, არამედ სახელმწიფოებრიობას ეთხრება*. და ეს, დაე, ყველა მოქალაქეს ახსოვდეს! ჯანსაღი და კეთილსინდისიერი პოლიტიკური ბრძოლის ნიმუშად ვერ ჩაითვლება ხელისუფლების საკვანძო თანამდებობის პირებისადმი გამოვლენილი ის სიძულვილი და ავრესია, რასაც ოპოზიციის წარმომადგენლები აფრქვევენ იმ იმედით, რომ აღშფოთება გადამდებია და ხალხში სწორედ შფოთი დაითესება. თუ საზოგადოებას ის მიღწევები არ აკმაყოფილებს, რაც ოთხი წლის

განმავლობაში ვარდების ხელისუფლებამ მოუტანა, მაშინ მით უმეტეს არ არსებობს იმის გარანტია, რომ ხელმოცარული და გაბოროტებული პოლიტიკოსების თავგზააბნეული ამქარი, რაიმე უკეთესს მოიმოქმედებს. ამიტომაც იღვრება ამდენი ბაღდაძე ხელისუფლების და პრეზიდენტის მისამართით; ოპოზიცია აბორგებულ, დელეილ ადამიანთა კრიტიკული მასის შეგროვებას ესწრაფვის, რათა მათი მხარდაჭერით ხელისუფლების პარალიზება გამოიწვიოს, მერე კი მღვრიე წყალში ხელაობა დაიწყება.

ყასიდად ღვთისმოსავი ოპოზიციონერები ხელისუფლებას ეკლესიების ნგრევას უკიჟინებდნენ, თვითონ კი შავი მაგიის ღირწებასაც არ დაერიდნენ, როცა სახელმწიფოს დასამარების ინსცენირება მოაწყვეს და სახელმწიფოს პირველი პირების სურათებხასვენებული კუბო ჩაატარეს ასი ათასი ადამიანის თვალწინ. ვინ არიან ამის შემდეგ „მკვლელები“?! ვითომ სპონტანური იყო სახელმწიფოს რღვევისკენ მიმართული მათი ეს შავი მესა? რატომ დაგეგმეს ეს მაშსტაბური დაგიდარაბა მაინცდამაინც ორ ნოემბერს, მნიშვნელოვანი საერთაშორისო ფორუმის დღეს და რატომ დასჭირდათ ოქრუაშვილის გამომცხვარი ბრტყელ-ბრტყელი ჭორების მოშველიება? რატომ არის მათი ლიდერი რუსი ოლიგარქი? რა ინტუიცია კარნახობს „ჯიგაროსნებს“, სინამდვილეში სახელმწიფოს მაშენებელ ხელისუფლებას მთელი დუნის გასაგონად მკვლელი ხელისუფლება ეძახოს?!

დავაკვირდეთ, რა პოლიტიკური პროგრამით გამოდის გაერთიანებული ოპოზიცია? – აგვირჩიეთ და გავაუქმებთ, გავათავებთ ხელისუფლებას!!! - მეფესაც დაფსვამთ და სანუკვარ ოცნებებსაც აგიხდენთ. ხალხს ხელისუფლებისთვის სათქმელი და სასაყვედურო ბარემც ბევრი აქვს, მაგრამ მისივე დასმული ხელისუფლების იმ ოპოზიციით ჩანაცვლებას როდი ესწრაფის, ვინც პრეზიდენტ სააკაშვილს სისხლიან დიქტატორად და ფაშისტად ასაღებს. განა, იგივეს არ ამბობდნენ ჩვენს პრეზიდენტზე მათი რუსი კოლეგები?! ეს, მართლაც, მეტისმეტია, დიქტატორი განა ამდენს ალაპარაკებდა ვინმეს? - თუმცა, ოპოზიციონერებმა ეს მშვენივრად იციან. მათთვის მთავარია საზოგადოებას ამ ხელისუფლების სახე მხოლოდ მახინჯი მხრიდან დაანახოს... ნუთუ ფიქრობენ, რომ მათი მმართველობა უკეთესი იქნება? – ეს ღირსება ხომ არანაირი ნიშნით არ სჭვივის ოპოზიციის მოციგლივე ვარსკვლავების საქმიანობაში?!

ისინი ვინც იყვნენ ხელისუფლებაში და განზე გადგნენ;  
ისინი, ვინც დემონსტრაციულად არ ესწრებოდნენ პარლამენტის სხდომებს;  
ვინც უარს ამბობდა შემოთავაზებულ თანამდებობებზე - თქვენ თვითონ აკეთეთ, მტკივნეული რეფორმები;

ვინც, ზემოთქმულის მიუხედავად, მაინც ვერ ძლევს ძალაუფლების ცდუნებას და ისევ ხელისუფლებას ეპოტინება, – ახლა ხალხს არსებული სისტემის მოშლაში თანადგომას თხოვს და სანაცვლოდ ბროლის კოშკებს ჰპირდება...

„საქართველო ლამაზო“ სამგლოვიარო დატირებასავით გაისმა ნოემბრის თავყრილობის მონაწილეთა სევდიანი დადადისი. „სხვა საქართველო სად არის?“ - ნიშნის მოგებით ჩაათავეს მუსიკის და პოეზიის ენაზე გადმოთარგმნილი ლოზუნგები: „ძირს მკვლელების სისხლიანი დიქტატურა!!!“, „გავათავოთ ეს ხელისუფლება!!!“ მაშ, გაუმარჯოს ლამაზ საქართველოს, - პურადს, გულადს, - „ჩვენ არ გვეშინია“!..

მათ არ ეშინიათ, ისინი უკან დახევას არ აპირებენ, მათ უკან... მოსკოვია!  
ისინი „ლამაზ“ საქართველოზე ოცნებობენ. „სხვა საქართველო სად არის?“ - იკითხა თავის დროზე რუსული სახელმწიფოს სამსახურში ჩამდგარმა ხარაბუზა დენერალმა. „სხვა საქართველო სად არის?“ - გამოეძახა უსამშობლობით გულგასენილი ქართველი საბჭოთა პოეტი-ქალი დენერლის ირონიანარევე შეკითხვას, - ქართულ სახელმწიფოს ორივე შორეულ წარსულში იგულებდა.

მისი აღდგენის იმედი არც ერთს ჰქონდა და სევდის გასაქარვებლად ორივემ გემინთშაფტ განწყობა იწამლა, - პირველყოფილი მამაპაპური იდილია: „საქართველო ლამაზო, მთაში - ტყე დანაბინდები, ტყეში - ქორბუდა ირმები, სხვა საქართველო ვინ ნახა? სხვა საქართველო სად არი? “ - ეს სევდით გაუღენთილი გემინთშაფტ სულისკვეთების ესთეტიზმებია. საქართველო აღარ არის? არა უშავს – გულს ბუნების მშვენიერებით მოვიოხებთ. პესიმიზმი ლამაზი ფილოსოფიაა – საქართველოსავით ნაზად გაბრწყინებული.

როგორ არ სცოდავს ვარდების ხელისუფლება, მაგრამ ასე რადიკალურად უარყოფით შეფასებას, რასაც გავეშვებული ოპოზიცია მიმართავს, არანაირად არ იმსახურებს. კიდევ კარგი, ხალხი – უკმაყოფილების და გაჭირვების მიუხედავად – ამდენს ხვდება.

და მაინც, სად არის გეზელშაფტ სულისკვეთების „სხვა საქართველო“? აქვე, ჩვენს ხელში, ის 23 ნოემბერს დაიბადა. მას უკვე ველარავინ მოუღებს ბოლოს; დიას, ის ჯერაც ნორჩია, მაგრამ მისი უპირატესობა და მიმზიდველობა იმდენად დიდია, რომ მოსახლეობის უმრავლესობა მაინც დაბეჯითებით მიჰყვება ევროპული ცივილიზაციის აღთქმული კარიბჭისაკენ მიმავალ აღმართს.